ადგილწარმოშობის დასახელება: "ბორჯომი"

რეგისტრაციის № 824

რეგისტრაციის თარიღი: 2012.02.22

საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის რეგისტრაცია:

კლასი 32 - ნატურალური მინერალური წყალი.

განმცხადებლის დასახელება და მისამართი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159 თბილისი (GE)

განსაკუთრებული თვისებები:

ბევრი სხვა მინერალური წყლისგან განსხვავებით, ბორჯომის წყალი ვერ ასწრებს მიწის ქვეშ გაციებას და ზედაპირზე ამოდის თბილი სახით (34-41 oC), რომელიც "გზადაგზა" მდიდრდება კავკასიონის მთებში არსებული 60 სხვადასხვა მინერალის კომპოზიციით.

ბორჯომის წყალი შეიცავს სტრონციუმს, ფტორს, იოდს და ბორს. სტრონციუმის შემცველობა ჭაბურღილების წყლის ნიმუშებსა და პროდუქციაში შეადგენს 4,0-20,0 მგ/ლ, ფტორის 3-10,6 მგ/ლ, იოდის 0,3-1,5 მგ/ლ, ბორის 3,0-10,0 მგ/ლ.

ქიმიური შემადგენლობა:

$$M_{6'0}\frac{HCO_3 85 CL15}{Na86}CO_2 T 29{,}6^{\circ}$$

საბადოს სხვადასხვა უბანზე წყლის მინერალიზაცია 2-იდან 7გ/ლ-მდეა. ახასიათებს მჟავე რეაქცია (pH-6,7-6,9). წყლის ტემპერატურა 34-იდან 41 °C-მდე მერყეობს.

ბორჯომის წყალში არ ფიქსირდება ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, პესტიციდები, პოლიქლორბიფენილები, ნავთობპროდუქტები, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები.

გეოგრაფიული ადგილის მდებარეობის აღწერა:

მინერალური წყალი "ბორჯომის" საბადო მდებარეობს საქართველოში, ქალაქ ბორჯომში მდებარე მტკვრის ვიწრო ხეობაში, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის ცენტრალურ ნაწილში. ტერიტორია შეადგენს 20კვ.კმ და მოიცავს სამ საექსპლუატაციო უბანს: ცენტრალურს, ლიკანისა და ვაშლოვანი-ყვიბისის უბნებს. ბორჯომის წყალი დედამიწის ზედაპირზე ამოდის 8-10 კილომეტრის სიღრმიდან, ბუნებრივი ნახშირორჟანგა გაზის მეშვეობით.